ხელშეკრულება #GOG/D/C/435-2016
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **06 მაისი 2016 წ**

ერთის მხრივ **სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით და მეორე მხრივ **ააიპ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გეგელაშვილის სახით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის #435 განკარგულებით გათვალისწინებული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (SMP160000061), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4.„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5.„დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (CPV71320000) მომსახურება** (შემდგომში „მომსახურება“), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს.**

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. გასაწევი მომსახურების რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში N2, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი

ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2.მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3.მომსახურების გაწევის საერთო ვადა და მოსახურების ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის არქიტექტორი ჯუანშერ შველიძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების წარდგენისა და მირება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

6.3.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის არქიტექტორი ჯუანშერ შველიძე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების

7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს ცალკეული ეტაპების მიხედვით, შემდეგი პროპორციით:

<u>7.5.1. კვლევების ანგარიშები (დავალება #1) - არაუმეტეს 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი;</u>

<u>7.5.2. კონცეპტუალური პროექტი (დავალება #2) - არაუმეტეს 60000 (სამოცი ათასი) ლარი;</u>

7.5.3. სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო დოკუმენტაცია - არაუმეტეს 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი;

7.6. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ გაცემული შემსყიდველთან შეთანხმეული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.7. ავანსის მოცულობას და პერიოდულობას განსაზღვრავს „შემსყიდველი" „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე.

7.8.სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად მიმწოდებელი, როგორც თეთრ სიაში რეგისტრირებული პირი, წარმოადგენს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდა) საბანკო გარანტიას საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.

7.9. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.10. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში თავდაპირველად განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა სრულად.

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.

9.3.საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.მხარეთა ვალდებულებები

10.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11.მხარეთა უფლებები

11.1მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11.2 შემსყიდველს უფლებააქვს:

11.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

11.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12.ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული
ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების საერთო ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებისღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.1. მხარეთა შეთანხმებით;

17.2. ხელშეკრულების 16.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

17.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

19.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	**ააიპ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა"**
ს/კ 206074193	ს/კ: 205099221
ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N150	ქ. თბილისი, კუს ტბის გზის დასაწყისი
სახელმწიფო ხაზინა;	ს.ს. „თიბისი ბანკი" TBCBGE 22
ხაზინის ერთიანი ანგარიში;	ა/ა: GE35 TB 06 0000 0303 7009 14
ბანკის კოდი: TRESGE22;	
ჯუანშერ ბურჭულაძე	**დავით გეგელაშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი

2016 წლის 06 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
NGOG/D/C/435-2016 ხელშეკრულების დანართი N1

ტექნიკური დავალება

საკონსულტაციო მომსახურებაზე.
დიდგორის მემორიალის რეაბილიტაცია და მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

1. საფუძველი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი) საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის №435 განკარგულების საფუძველზე შემსყიდველს დაევალა, დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

2. მომსახურების მოცულობა

დიდგორის მემორიალური კომპლექსი დღეის მდგომარეობით საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ხოლო კომპლექსის მიმდებარედ არ არსებობს არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა, მიმწოდებელი (კონსულტანტი) ფოკუსირებული უნდა იყოს მემორიალის სარესტავრაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების გარდა, შეისწავლოს და მოამზადოს სრულფასოვანი ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

3. კონსულტანტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

1. დიდგორის მემორიალის კომპლექსის აღდგენითი სამუშაოების პროექტირება;
2. დიდგორის მემორიალთან, თბილისი-მანგლისის გზაზე ერთი გადასახედი აივნის „ბელვედერის“ პროექტირება;
3. მემორიალთან მისასვლელ გზაზე ორი ცალკე მდგომი გადასახედის „ბელვედერის“ პროექტირება;
4. ზედა „საყუდარი-მეგზური“-ს ვიზიტორთა მომსახურების შენობა;
5. ქვედა „საყუდარი-მეგზური“-ს ვიზიტორთა მომსახურების შენობა;
6. ტურისტული ინფრასტრუქტურული შენობების, შესაბამისი საინჟინრო კომუნიკაციებით აღჭურვის პროექტირება, წყალმომარაგება, წყალარინება და ელ მომარაგება;

გასაწევი მომსახურების ძირითადი პუნქტების დეტალური ჩაშლა:

1. **დიდგორის მემორიალის კომპლექსის აღდგენითი სამუშაოების პროექტირება;**
   დაზიანებული ბრინჯაოს ქანდაკებების აღდგენა. დედაბოძთან მისასვლელი კიბის, სკამებისა და თეატრონის შეკეთება. გადათხრილი კოლონის აღდგენა ან შეცვლა. ყველა ზარის აღდგენა ან ახლით ჩანაცვლება. დაზიანებული აბსტრაქციული ფიგურების და ქანდაკებების აღდგენა. გასათვალისწინებელია, რომ მემორიალის აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, საავტორო უფლებების დაცვის მხრივ, შეთანხმებული უნდა იყოს ობიექტის პირვანდელი პოროექტის ავტორთან, ასევე მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფუნქციისთვის შესაბამისი ფართისა და რელიეფის ტერიტორიაზე კონსულტანტმა უნდა დააპროექტოს პარკინგი 20-30 ავტომობილისთვის.

2. **დიდგორის მემორიალთან, თბილისი-მანგლისის გზაზე ერთი გადასახედი აივნის „ბელვედერის" პროექტირება;**
   ისეთი ბელვედერის მშენებლობის პროექტის მომზადება, საიდანაც ვიზიტორთათვის უზრუნველყოფილი იქნება, დიდგორის ველის მთლიანობაში აღქმა.
3. **მემორიალთან მისასვლელ გზაზე ორი ცალკე მდგომი გადასახედის „ბელვედერის" პროექტირება;**
   „ქვედა საყუდარიდან" დიდგორის კომპლექსამდე უნდა შეირჩეს სათანადო ადგილი რათა მომზადდეს ორი დამოუკიდებელი გადასახედი აივნის „ბელვედერის" საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, პირველი გადასახედი აივნიდან კარგად უნდა აღიქმებოდეს გამარჯვების მაცნე „მებუკე", ხოლო მეორე აივნიდან ის ხეობა სადაც ისტორიის თანახმად დიდგორის ბრძოლის დროს მტერი განადგურდა.
4. **ზედა „საყუდარი-მეგზური"-ს ვიზიტორთა მომსახურების შენობა;**
   აღნიშნულ ადგილას უნდა მომზადდეს ორსართულიანი შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შენობაში განთავსებული უნდა იყოს საკონფერენციო დარბაზი ტურისტებისათვის. სან-ჰიგიენური კვანძები ვიზიტორთათვის, მცირე კაფე და კიოსკი ქართული სუვენირების გასაყიდად. საპროექტო შენობის მიმდებარედ უნდა მოეწყოს ავტოსადგომი გათვლილი 15-20 ავტომობილზე.
5. **ქვედა „საყუდარი-მეგზური"-ს ვიზიტორთა მომსახურების შენობა;**
   აღნიშნულ ადგილას უნდა მომზადდეს ერთი ან ერთნახევარი სართულის მქონე შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შენობაში განთავსებული უნდა იყოს მცირე დარბაზი ტურისტებისათვის. სან-ჰიგიენური კვანძები ვიზიტორთათვის, მცირე კაფე და კიოსკი ქართული სუვენირების გასაყიდად. საპროექტო შენობის მიმდებარედ უნდა მოეწყოს ავტოსადგომი გათვლილი მინიმუმ 10 ავტომობილზე.
6. **ტურისტული ინფრასტრუქტურული შენობების, შესაბამისი საინჟინრო კომუნიკაციებით აღჭურვის პროექტირება, წყალმომარაგება, წყალარინება და ელ მომარაგება;**
   საპროექტო ტურისტული ინფრასტრუქტურული შენობების სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის კონსულტანტმა უნდა მომზადოს შესაბამისი საინჟინრო კომუნიკაციების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე ინდივიდუალურ საპროექტო დოკუმენტაციად;

1. წყალმომარაგების პროექტი;
2. წყალარინების პროექტი (კანალიზაცია);
3. ელექტრო მომარაგების პროექტი;

აღნიშნული ობიექტისათვის უნდა დამუშავდეს სრული საპროექტო დოკუმენტაცია. პროექტირების ყველა ეტაპზე საპროექტო გადაწყვეტები უნდა შეთანხმდეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესაბამის სპეციალისტებთან. პროექტირების სტადიაში მიმწოდებელი (კონსულტანტი) შემსყიდველთან და/ან მის მიერ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირთან აქტიური თანამშრომლობის პროცესში შეარჩევს ყველა საპროექტო შენობის, ხაზობრივი ნაგებობისა თუ ნაგებობის ადგილმდებარეობას, და მხოლოდ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად დადგინდება აღნიშნული ობიექტების ზუსტი ადგილმდებარეობა, რათა თავიდან იქნას აცილებული პროექტის განსახორციელებლად, პროექტის სამშენებლო სანებართვო პროცედურების წარმართვისას შესაძლო გართულებები.

4. მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა განახორციელოს შემდეგი დავალებები:

დავალებაN1.

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ადგილზე შეისწავლის თითოეულ ობიექტს. განახორციელებს აზომვით სამუშაოებს, მოამზადებს საპროექტო ტერიტორიის შესაბამის ტოპოგრაფიულ აზომვით ნახაზებს. ობიექტის მონახულება სასურველია განხორციელდეს შემსყიდველის წარმომადგენლებთან ერთად. მიმწოდებელი (კონსულტანტი) ასევე უნდა დაუკავშირდეს ობიექტების მეპატრონეებსა და მოსარგებლეებს.

I **დავალების დასასრულებლად**, მიმწოდებელი (კონსულტანტი) თითოეული ობიექტისათვის მოამზადებს:

1. თითოეული საპროექტო ობიექტის შესაბამისი ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი.
2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
3. ზოგადი მიმართულებები საპროექტო ობიექტების, სარესტავრაციო სარეაბილიტაციო პროექტის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.
4. ობიექტის ერთიანი და ცალკეული გენერალური გეგმა, მომზადებული 1:500 მასშტაბში, და ყველა არსებული შენობისა თუ ნაგებობის ჩვენებით.
5. რესტავრაცია რეაბილიტაციის, და საპროექტო შენობების კონცეპტუალური პროექტი.
6. სარესტავრაციო ობიექტების აზომვითი ნახაზები.

დავალებაN2

მიმწოდებელი (კონსულტანტი), ობიექტის ადგილზე შესწავლის და შესაბამისი კვლევების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრულია საპროექტო დავალების პირველ

ნაწილში, მოამზადებს სარესტავრაციო სარეაბილიტაციო და საპროექტო ობიექტების კონცეპტუალურ პროექტს. სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი თითოეული საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა, დატანილი, **დავალება N1**-ის მიხედვით გათვალისწინებულ ტოპოგრაფიულ ნახაზებზე.

დავალება N2-ის დასასრულებლად, მიმწოდებელი (კონსულტანტი) მოამზადებს შემდეგი სახის დოკუმენტაციის პაკეტს, რაშიც თავის მხრივ შევა:

1. ყოველი საპროექტო ობიექტისთვის ინდივიდუალური ალბომი.
2. განმარტებითი ბარათი.
3. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა.
4. აეროფოტო გადაღებაზე და ტოპოგრაფიულ ნახაზებზე საპროექტო ობიექტების ამსახველი ნახაზები. ხაზობრივი ნაგებობებისთვის სრული მარშუტის ამსახველი ნახაზები დატანილი აეროფოტო გადაღებაზე და ტოპოგრაფიულ ნახაზებზე.
5. ყოველი საპროექტო ობიექტის გეგმები, ფასადები, პერსპექტიული ხედები.
6. სარესტავრაციო ობიექტის „დიდგორის მემორიალის" სრული სარესტავრაციო პროექტი.

დავალებაN3

მიმწოდებელი (კონსულტანტი), ობიექტზე წარმოებული კვლევებისა და შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან დამატებითი კონსულტაციების შედეგად, მოამზადებს სარესტავრაციო სარეაბილიტაციო და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციას, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალს.

დავალება N3-ის დასასრულებლად, მიმწოდებელი (კონსულტანტი) მოამზადებს დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის პაკეტს, რაშიც თავის მხრივ შევა:

1. ნახაზები;
2. ტექნიკური სპეციფიკაციები;
3. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი;
4. ხარჯთაღრიცხვა (რესურსული და გამსხვილებული ვერსიები).

ნახაზებთან დაკავშირებით, მიმწოდებელმა (კონსულტანტი) გრაფიკულად უნდა განასხვავოს და ვიზუალურად მარტივად აღქმადი ხერხით წარმოადგინოს სარეაბილიტაციო ობიექტის არსებული მდგომარეობა, სადემონტაჟო სამუშაოები (საჭიროების შემთხვევაში) და განსახორციელებელი სამუშაოები. მიმწოდებელი (კონსულტანტი) ყოველი ობიექტისათვის მოამზადებს შემდეგ დოკუმენტაციას:

1. განმარტებითი ბარათი, სადაც ზუსტად იქნება ასახული საპროექტო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, საპროექტო ობიექტის კლასის განსაზღვრით.
2. ტოპოგრაფიული გეგმა; არსებული და საპროექტო მდგომარეობის ჩვენებით.
3. სიტუაციური და გენერალურ გეგმები (მ: 1:500, 1:1000)
4. ვერტიკალური დაგეგმარება;

5. არქიტექტურული ნაწილი - გეგმები, ჭრილები, ფასადები, სქემები, კვანძები, დეტალები, მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები და სპეციფიკაციები (მ: 1:10, 1:50, 1:100)
6. კონსტრუქციული ნაწილი - გეგმები, ჭრილები, ფასადები, სქემები, კვანძები, დეტალები, სპეციფიკაციები (მ: 1:10, 1:50, 1:100)
7. სამუშაოთა მოცულობის უწყისები, ხარჯთაღრიცხვა (რესურსული და გამსხვილებული ვერსიები);
8. მშენებლობის ორგანიზების პროექტი, კალენდარული გრაფიკი და დროებითი შენობა ნაგებობების განთავსების სქემატური ნახაზები (საჭიროების შემთხვევაში).
9. სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები, საჭირო მანქანა მექანიზმების ჩამონათვალი.
10. რენდერები. არსებული სიტუაციის ფოტო მასალა და პერსპექტიული ხედები.

საბოლოო საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი, საქართველოში მოქმედი დარგის შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონები.

5.ვადები და გადახდები

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი კვირის ვადაში, მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარუდგინოს შემსყიდველს დავალება N1-ით განსაზღვრული სამუშაოების ანგარიში.

ხელშეკრულების გაფორმებიდან ექვსი კვირის ვადაში, მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარმოადგინოს დავალება N2-ით განსაზღვრული სამუშაოების ანგარიში. არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის ხელშეკრულებით უფლებამოსილი პირი განიხილავს ანგარიშს, და წარუდგენს მიმწოდებელს (კონსულტანტი) თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. რის შესწორებაზე მიმწოდებელს (კონსულტანტი) ეძლევა ერთ კვირიანი ვადა.

ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 დღის ვადაში მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარმოადგინოს დავალება N3-ის გათვალისწინებული, დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია ყველა შენიშვნის გათვალისწინებით.
მიმწოდებელმა (კონსულტანტი) საბოლოოდ უნდა გადასცეს შემსყიდველს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი

ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD და PDF ფორმატში).

6.განსაკუთრებული პირობები

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

7. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს (კონსულტანტი) მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

8. მომსახურების ხანგრძლივობა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურების მიწოდების ვადაა 70 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№435 2016 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციის და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსება „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური

განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ - ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან;

გ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**